

ისრაელში გამოცემული ქართულენოვანი რელიგიური ლიტერატურა - აბრაამ მამისთვალოვი

გულედანი ლალი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.47>

ნაშრომი მომზადდა შოთა რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კვლევითი პროექტის ფარგლებში (გრანტის ნომერი: FR-22-51-80; „ქართველი ებრაელების ენობრივი რეპერტუარი: მიგრაციები, ენობრივი კომპეტენციები და იერარქიები“).

აბსტრაქტი. ებრაელები საქართველოში მრავალი საუკუნის მანძილზე ცხოვრობდნენ. XX საუკუნის 70-იან წლებში მათ დაიწყეს მასობრივი რეპატრიაცია („ალია“) ისტორიულ სამშობლოში – ისრაელში. „ალიის“ პირველი წლები ქართველი ებრაელებისთვის მძიმე ეკონომიკური და სოციალური პრობლემებით ხასიათდება. ახალ ქვეყანაში დასამკვიდრებლად საჭირო გახდა ენობრივი და ყოფითი პრობლემების მოგვარება. მიუხედავად ამ სიძნელებისა, ქართველმა ებრაელებმა წარმატებით განახორციელეს სამწერლობო საქმიანობა. ქართულ ენაზე იწერებოდა სხვადასხვა ჟანრისა და თემის ნაწარმოებები, რომელთა მოპოვება და შესწავლა ქართულ-ებრაული ლიტერატურული ურთიერთობის სრულყოფილად წარმოდგენისათვის აუცილებელია. საინტერესოა ასევე ისრაელში გამოცემული ქართულენოვანი პუბლიკაციების ენობრივ-ლიტერატურული კვლევა, რითაც შეიძლება გამოვლინდეს ის მსგავსება-განსხვავებები, ენობრივი თავისებურებები და სიახლეები ლიტერატურულ გამომსახველობით ხერხებში, რაც, სავარაუდოა, განპირობებული იყოს საცხოვრებელი ადგილის და სოციალური გარემოს ცვლილებით.

ისრაელში გამოცემულ ქართულენოვან ლიტერატურაში, ბუნებრივია, გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭება რელიგიური ხასიათის ნაწარმოებებს. ებრაელები, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, რელიგიური რწმენა და რელიგიური ვალდებულებების დაცვა წმიდათა წმიდა მოვალეობად მიაჩნდათ, რამაც გადაარჩინა ეს ერი განადგურებისგან. საქართველოში ცხოვრების დროს ისინი განცალკევებულ უზნებად ცხოვრობდნენ, აგებდნენ სინაგოგებს, ლოცულობდნენ და მკაცრად იცავდნენ თორის წესებსა და ტრადიციებს. ისრაელში ქართველები აგრძელებენ ტრადიციულ რელიგიურ ცხოვრებას, თუმცა, მათი რელიგიური ცნობიერების ამაღლებას აღთქმულ ქვეყანაში, ერთმორწმუნე ისრაელელებთან ერთად, მეტი შესაძლებლობები აქვს, რასაც გარკვეულწილად ხელს უწყობდა ისრაელში გამოცემული ქართულენოვანი რელიგიური ნაწარმოებებიც, ვინაიდან ქართველი ებრაელების უმეტესობა სრულყოფილად მხოლოდ ქართულ ენას ფლობდა. ისრაელში ქვეყნდებოდა სხვადასხვა ხასიათის რელიგიური ქმნილებები: ბიბლიის წიგნები, თორის ელემენტარული საკითხები, საწინასწარმეტყველო ნაწყვეტები, ძირითადი ლოცვები ებრაულ ენაზე, ცნობები ქართველ ებრაელთა თემში გამორჩეული რაბინებისა და თალმიდ ხახმების შესახებ, ლოცვებისა და მიცვების თარგმანები, იუდაიზმის ატრიბუტიკა და თეოლოგია, იუდაიზმი თანამედროვე პირობებში, ჰალახის წესები ქართულ ენაზე (יהדות ישראל) [გულედანი, 2024; გულედანი, 2025] და სხვა.

რელიგიური ხასიათისაა მწერალ აბრაამ მამისთვალოვის რამდენიმე წიგნი, რომლებიც წინამდებარე სტატიაში შესწავლილი და დახასიათებულია.

საკვანძო სიტყვები: რელიგიური ნაწარმოებები, ბიბლია, ლექსთა ლექსი, სიდური, კანონთა დამატებანი.

აბრაამ მამისთვალავი დაიბადა 1921 წელს ქ. ცხინვალში თორის დიდი მცოდნის, დავითის საგალობლებისა („თეპილიმის“) და სხვა წმინდა წიგნების ორიგინალიდან ქართულ ენაზე მთარგმნელის, რაბი იცხაკ მამისთვალავის ოჯახში. იგი სკოლის პერიოდიდან აქვეყნებდა ლექსებსა და სტატიებს. მისი პირველი ლექსთა კრებული გამოქვეყნდა 1942 წელს, როცა იგი 21 წლის იყო. აბრაამ მამისთვალავი ლიტერატურულ საქმიანობას წარმატებით უთავსებდა საზოგადოებრივ აქტივობებსაც. 1961-1974 წლებში აქტიურად მოქმედებდა მის მიერ დაარსებული საქართველოს იატაკქვეშეთა სიონისტური ორგანიზაცია, რომელმაც მისი ხელმძღვანელობით დიდი როლი შეასრულა ქართველ ებრაელთა პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებასა და მათი რეპარტიაციისა (ალიის) და ახალ ქვეყანაში წარმატებული ადაპტაციის საქმეში. აბრაამ მამისთვალავი ერთ-ერთი პირველთაგანია (გერცელ ბააზოვის შემდეგ), რომელმაც ქართულ მწერლობაში ქართველ ებრაელთა პრობლემატიკის განხილვა დაიწყო. იგი ერთადერთი ქართველი ებრაელი მწერალია, რომელიც ისრაელში ავიდა, როგორც საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრი. რეპარტიაციისას მას უკვე 7 წიგნი ჰქონდა გამოქვეყნებული, რაც საბჭოთა საქართველოს პირობებში ებრაელისთვის იშვიათი შემთხვევა და უდიდესი წარმატებაა. მთლიანობაში მის მიერ გამოცემულია 22 კრებული და 30 -მდე ნათარგმნი წიგნი. მისი ნაწარმოებები თარგმნილია რუსულ და ებრაულ ენებზე.

აბრაამ მამისთვალავი 1974 წლის იანვრიდან საცხოვრებლად გადავიდა ისრაელში, სადაც განაგრძო აქტიური სამწერლობო საქმიანობა და დაიწყო საგამომცემლო აქტივობები, რედაქტორობდა ქართულენოვან ჟურნალ-გაზეთებს, მიუხედავად იმისა, რომ ისრაელში ქართველი ებრაელების პირველი ნაკადის რეპარტიანტებს ძალიან რთული სოციალური ფონით და ახალ ქვეყანაში ადაპტირების მრავალი პრობლემით უწევდათ ცხოვრება. 1983 წლიდან იგი მის მიერ დაარსებული გამომცემლობის („შუქურა“) მთავარი რედაქტორი იყო, რომლის ძირითად მიზანს ისრაელსა და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველი ებრაელებისთვის წმინდა წიგნებისა და მხატვრული ნაწარმოებების გამოცემა წარმოადგენდა. აბრაამ მამისთვალავი თემატურად მრავალფეროვანი ლექსების, ბალადების, მოთხრობებისა და რომანების ავტორია [ლინკი 1; მამისთვალავი, 2005:8].

ცალკე აღნიშვნის ღირსია აბრაამ მამისთვალავის შემოქმედებაში რელიგიური ხასიათის წიგნები. მისი განსაკუთრებული დაინტერესება ბიბლიის თემატიკის მიმართ იგრძნობა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არამხოლოდ აბრაამ მამისთვალავი, არამედ მისი ოჯახის წევრებიც (მამა, და) ინტენსიურად იყვნენ ჩართულები ბიბლიის წიგნების თარგმნის პროცესში, რის შედეგად აბრაამ მამისთვალავის რედაქტორობით თავის დასთან, მწერალ თამარ მამისთვალავთან და აღმოსავლეთმცოდნე დოქტორ გერშონ ბენ-ორენთან ერთად, ივრითიდან ქართულად ითარგმნა მოსეს ხუთწიგნეული „ხამიშა-ხუმში თორა“ [ხუმში, 1988-89]. „ხუთწიგნეულის“ ყოველი წიგნი ცალკეა წარმოდგენილი. პირველ წიგნს დასაწყისში დაერთვის მთარგმნელთა წინასიტყვეობა და ხახამ რეფაელ ელაშვილის წერილი „წიგნთა-წიგნი“, სადაც ვკითხულობთ:

“აგერ, უკვე სამი ათასი წელია ჩვენს ერს, ისრაელ ხალხს თან დაჰყვება და გამორჩეულობის გვირგვინს ადგამს დიდი წიგნი თანახი – თორა, ნებიიმ (წინასწარმეტყველნი), ქეთუბიმ (ნაწერები). თორა არის ჩვენი ხალხის უძვირფასესი საუნჯე, იგი მანათობელ შუქურად მიუძღოდა წინ მსოფლიოს შარაგზაზე მრავალტანჯულ ისრაელის შვილებს... და ასე, საუკუნიდან საუკუნეში

გადმოგვცემდნენ ჩვენი წინაპრები თორას, და სწორედ ამან შემოგვინახა ჩვენი ეროვნულობა 2500-წლოვანი გალუთის პირობებში. სწორედ უფლისადმი ერთგულებამ, თორამ, მასში ჩაქსოვილმა სიყვარულმა ერეც-ისრაელისადმი ამოგვიყანა ჩვენს ისტორიულ სამშობლოში...“.

იგივე წერილი ებრაულად გამოქვეყნებულია ხუთწიგნეულის II წიგნში (გვ.V-VII), ხოლო მთარგმნელთა წინასიტყვაობა და რეფაელ ელაშვილის ხსენებული წერილი ერთად ყოველ მომდევნო წიგნს ახლავს. მთარგმნელებმა კოლოსალური სამუშაო ჩაატარეს, რათა მიეღოთ მეცნიერებისა და თარგმნის თანამედროვე დონის შესაბამისი ტექსტი. ისინი ითვალისწინებდნენ ორიგინალის პრიორიტეტულობას, იმას, რომ წმინდა წიგნები დიდი სიზუსტით და სიფრთხილით უნდა ითარგმნოს და ცდილობდნენ, თარგმანი რაც შეიძლება თანმიმდევრული, ებრაული დედნის შესატყვისი ყოფილიყო. თარგმნისას გარკვეული ხასიათის გადახვევები უკიდურესი აუცილებლობით იყო ნაკარნახევი და იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს. თარგმანს ახლავს მხოლოდ ყველაზე აუცილებელი მცირე განმარტებანი სქოლიოში, იქ, სადაც ესა თუ ის მნიშვნელოვანი სიტყვა ან გამოთქმა პირველად არის გამოყენებული. იმის გათვალისწინებით, რომ ბიბლიის ძველი ქართული ხელნაწერები წინა საუკუნეებში ძირითადად ბერძნულიდან ითარგმნებოდა, „ხუთწიგნეულის“ მთლიანი ტექსტის ებრაულიდან ქართულ ენაზე შესრულებული ეს თარგმანი მნიშვნელოვანი დატვირთვის მქონეა და ითვლება ორიგინალიდან „ხუთწიგნეულის“ სრული ტექსტის პირველ ქართულ თარგმანად, რისთვისაც მან ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო პრემია მიიღო.

ბიბლიის ძველი აღთქმის, თანახმად, წიგნებიდან აბრაამ მამისთვალის კალამს ეკუთვნის „ქებათა-ქების“ თარგმანი „ლექსთა ლექსი“, რომელიც 1994 წელს გამოიცა ისრაელში [მამისთვალის, 1994].

ზოგადად, „ქებათა-ქება“ ბიბლიის ძველი აღთქმის წიგნებს შორის დაინტერესების თვალსაზრისით გამორჩეულია. ტექსტი 8 თავს მოიცავს და დიალოგებისგან და მონოლოგებისგან შედგება. შესრულებულია ურითმო, თეთრი ლექსის ფორმით და ჟანრის თვალსაზრისით, პოეტური ქმნილებაა. იგი სრულიად განსხვავდება ბიბლიის სხვა პროზაული წიგნებისგან როგორც ფორმითა და შინაარსით, ასევე სინტაქსური წყობითა, ენით და ლექსიკით. ეს სიმღერა მოგვითხრობს მწყემსი ბიჭისა და შულამელი გოგონას სასიყვარულო ამბავს. „ქებათა ქება“ გვიმხელს, რომ კაცს ზღაპრული სიმდიდრეც რომ ჰქონდეს, მაინც ვერ შეძლებს მოიგოს ყველა ქალის გული. მასში გადმოცემულია, თუ რა უშედეგოა მშვენიერი ქალწულის მოხიბვლა, რომელიც მწყემს ბიჭზეა შეყვარებული. ეს ახალგაზრდა შეყვარებული წყვილი თავშეკავებას, სიწმინდესა და ერთგულებას ავლენს. ღვთის შთაგონებით დაწერილ ამ სიმღერაში ნაჩვენებია, რომ სიწმინდის შენარჩუნება მაშინაც შესაძლებელია, როცა ქალ-ვაჟს ერთმანეთისკენ ძლიერი ლტოლვა აქვს.

ბიბლიური „კანონის ერთ-ერთი ავტორის, რაბი აკიბას, განცხადებით, ბიბლიის ყველა წერილი წმინდაა, მაგრამ „ქებათა ქება“ უწმინდესია მათ შორის. რაბი აკიბას შემდეგი თაობის ყველა კომენტატორი „ქებათა ქების“ ტექსტს ასევე ალეგორიულად განმარტავს... როგორც იუდეველი, ისე ქრისტიანი კომენტატორების თქმით, ქმნილების ცენტრალური იდეა არის ადამიანის ლტოლვა ღმერთისაკენ. სიმბოლიკა შემდეგია: ღმერთი მწყემსი ვაჟია – იუდეველებთან ძველი აღთქმის ღმერთი, ქრისტიანებთან – ქრისტე, რომელსაც მწყემსი ქალწული ანუ მისი სამწყსო, იუდეველებთან ისრაელი, ებრაელი ერი, ხოლო ქრისტიანებთან ეკლესია ელტვის“ [ბუცხრიკიძე, 2024].

„ლექსთა ლექსი“ წიგნის ებრაული სახელწოდების „šir hašširim“ ზუსტი თარგმანია, ხოლო ქართულში დამკვიდრებულია ტრადიციული სათაურით – „ქებათა ქება“. ლექსის სათაურთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრება, თუმცა აბრაამ მამისთვალის ამ საკითხს განმარტავს შემდეგნაირად:

„...ქებათა-ქება არ არის წიგნის ზუსტი სათაური... ტექსტს სახოტბო ლექსის მიმართულება აქვს და არა ხოტბისა, ამიტომ მის შესატყვისად „ლექსთა ლექსი“ გამოიყენება...“. მიუხედავად იმისა, რომ „ლექსი“ ზუსტი შინაარსობრივი ეკვივალენტია ებრაული „šir“-ისა, სათაურში მაინც გვხვდება გარკვეული ტიპის ცვლილება, კერძოდ, წინადადების წევრები ინვერსიული წყობითაა წარმოდგენილი.

წიგნი მრავალ ენაზე ითარგმნა, თუმცა მის მიმართ განსაკუთრებული ყურადღება ვლინდება ქართულ ენაზე თარგმნის შემთხვევაში. ბოლო დროის ქართველი მთარგმნელებიდან ეს წიგნი თარგმნა შვიდმა ძალიან ავტორიტეტულმა შემოქმედმა - გერცელ ბააზოვმა, ნათან ელიაშვილმა, გრიგოლ ფერაძემ, ზურაბ კიკნაძემ, იცხაკ დავიდმა, შალომ დავიდმა და აბრაამ მამისთვალისგან. თითოეულის თარგმანი ავლენს ინდივიდუალობასა და გარკვეულ თავისებურებებს და კომპარატივისტული კვლევისთვის საინტერესო მასალას წაროადგენს.

აბრაამ მამისთვალის თარგმანი მაქსიმალურად ზუსტად მისდევს დედანს, თუმცა, ბუნებრივია, ზოგჯერ უწევს დედნიდან მცირე გადახვევა, რაც აზრის უფრო ზუსტად გადმოცემის მიზნით ხდება და დამატებული სიტყვები ფრჩხილებშია ჩასმული. ასევე, მუხლებს წინ უძღვის მოქმედ პირთა სახელები. აბრაამ მამისთვალის თარგმანში შენარჩუნებულია ებრაული ანთროპონიმებისა და ტოპონიმების ჟღერადობა. მთარგმნელს უმეტესად ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის გზით გადმოაქვს სახელები: შელომო, შულამითი, ირუშალაიმი, ციონი და ა.შ როგორც იუდაისტურ, ისე ქრისტიანულ კანონში ტექსტი მოთავსებულია „სოლომონის იგავებისა“ და „ეკლესიასტეს“ შემდეგ, რომელთა ავტორობაც ისრაელის მესამე მეფეს, სოლომონს, მიეწერებოდა, თუმცა ეს საკითხი მკვლევრებს შორის განიხილება სხვადასხვანაირად და სადაოდაა მიჩნეული [ნავროზაშვილი, 2021:73-74].

აბრაამ მამისთვალის არამხოლოდ თარგმნიდა და იკვლევდა ბიბლიის წიგნებს, არამედ რომანებშიც უხვად იყენებდა გამორჩეულ ციტატებს ბიბლიიდან, კერძოდ, ფსალმუნებიდან. ნიმუშად შეიძლება წარმოვადგინოთ ცნობილი ფრაზა ფსალმუნიდან, რომელიც ჩართული აქვს რომან „ხლართებში“: „თუ დაგივიწყო შენ, იერუსალიმო, დამივიწყოს მარჯვენამ ჩემმა [ლინკი,2:136;5].

აბრაამ მამისთვალისთვის, ისევე როგორც თითოეული ებრაელისთვის, რელიგიურ ვალდებულებებსა და წესებს, ბიბლიის მცნებებსა და კანონებს, ბიბლიის ფრთიან ფრაზებს უდიდესი დატვირთვა ჰქონდა, რის დასტურადაც ვიმოწმებთ „ხუთწიგნეულის“ შესავლიდან წიგნის ქართულად მთარგმნელების შემდეგ სიტყვებს: „საქართველოს ებრაელობა ყოველჟამს წმიდად ინახავდა გულში თორის მცნებებს. მშობლიური ენის დაკარგვის მიუხედავად, ჩვენი ერი მუდამ ერთგული რჩებოდა მოშეს თორისა. ჩვენ სასოებით ვისმენდით სალოცავში წაკითხულ სეფერ თორას და თვითონაც მოწიწებით ვკითხულობდით სიბრძნის, ისტორიის, სამართლისა და კულტურის ამ სწორუპოვარ ძეგლს. და ეს თავისებური ხარკი იყო ჟამთა სიახით დაკარგული მშობლიური ენისა და სწორედ ჟამთა სიახის ჯინაზე დაუკარგავი რწმენისადმი...“.

სწორედ ამიტომ აბრაამ მამისთვალის მუდმივად ზრუნავდა ქართული ებრაული თემის რელიგიურ ცნობიერების გაფართოებასა და განმტკიცებისთვის,

განსაკუთრებით კი ისრაელში რეპატრაციის შემდეგ. ისტორიულ სამშობლოში ცხოვრების დროს მან რამდენიმე წიგნი მიუძღვნა რელიგიურ საკითხებს, კერძოდ, ებრაულ კანონებს. 1988 წელს აბრაამ მამისთვალთვი აქვეყნებს თავის მორიგ წიგნს „სიდური ქართული ასოებით“ [მამისთვალთვი, 1988]. უნდა აღინიშნოს, რომ ამ წიგნამდე რაბი მოშე ჰაკატან დავარაშვილს გამოუცია მსგავსი კრებული, თუმცა აბრაამ მამისთვალთვის მიერ შედგენილი „სიდური“ (ლოცვების წიგნი) გაცილებით ვრცელია და ბევრ მასალას შეიცავს. წიგნის დასაწყისშივე ებრაული თემის გამორჩეული წარმომადგენელი რაბი იაკობ დავარაშვილი აზრს გამოთქვამს „სიდურის“ ახალი გამოცემის შესახებ, მაღალ შეფასებას აძლევს მას და „სიდურს“ იწყებს სამადლობელი სიტყვებით: „უპირველესად ვადიდებ უფალ ღმერთს, - იქოს და იდიდოს მისი სახელი, რომ ღირსგვყო და ამოგვიყანა წმინდა მიწაზე - ერეც ისრაელში. საქართველოს ებრაელობისთვის ისრაელში ამოსვლის მთავარი მიზანი იყო „იკადუთი“ - რწმენა, სიყვარული მამა-პაპათა სამშობლოსი“. იგი მიიჩნევს, რომ წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს იმ ებრაელებს, რომლებმაც არ იციან ებრაული ენა, ებრაული წერა-კითხვა, თუმცა დიდი სურვილი აქვთ, რომ მშობლიურ ენაზე წაიკითხონ ლოცვები. მას მიაჩნია, რომ ეს „სიდური“ სასარგებლო იქნება არა მხოლოდ თორისა და წერა-კითხვის უცოდინართათვის, არამედ მათთვისაც, ვინც ყველაფერში გარკვეულია, თუმცა, საქართველოში ცხოვრების თავისებური პირობების გამო თავისდაუნებურად მიეჩვია ზოგიერთი სიტყვის არასწორ გამოთქმას. კრებულის შემდგენელი შეეცადა, რომ წიგნი იმ სახით მოემზადებინა, რომ გამოსადეგი ყოფილიყო მათთვისაც, ვისაც ორიგინალში კითხვაც შეეძლო და ლოცვების ნაწილი ზეპირად იცოდა.

„სიდური“ დიდაქტიკური ხასიათის წიგნია, სადაც ლოცვებთან ერთად ფართოდ არის წარმოდგენილი ლოცვასთან დაკავშირებული რჩევა-დარიგებები. სანიმუშოდ წარმოგიდგენთ ერთ-ერთ მათგანს:

„ჩვენი ბრძენი რაბები ამბობდნენ, რომ შთაგონების გარეშე ლოცვა იგივეა, რაც სხეული სულის გარეშე. ეს ნიშნავს: როცა ლოცულობ სხვა საგნებზე არ უნდა იფიქრო. აბა, დაუკვირდით: ხელში მოსაპირკეთებელი ბრილიანტი გიჭირავთ და ამ დროს სხვა საგნებს უყურებთ. როგორი გამოვა თქვენი მოპირკეთებული ბრილიანტი? შესაძლოა იმაზე უარესიც კი, რაც ადრე იყო. მაშასადამე, უმჯობესია, სულაც არ ილოცოთ, ვიდრე ილოცოთ აზნეულად, უსისტემოდ და იმ დროს სხვა რამეზე ფიქრობდეთ. ასევე ითქმის სალოცავში სიარულის შესახებ. თუ ყოველდღე არა, შაბათობით ხომ მაინც შეგიძლიათ მიხვიდეთ მცირე დროით...ოღონდ აქაც სიფრთხილეა საჭირო. ვინც სალოცავში იმიტომ მიდის, რომ ნაცნობ-მეგობრებს მთელი კვირის ამბები გამოჰკითხოს ან მომავლის გეგმებზე ელაპარაკოს, ურჩევნია სულაც არ მივიდეს. ასეთ შემთხვევაში იგი თვითონაც სცოდავს და სხვებსაც აცოდებს, ჯამათს ხელს უშლის ლოცვაში...“

წიგნის შემდეგი ნაწილი ეთმობა ებრაული ენის გრამატიკას. ყურადღება გამახვილებულია სასვენ ნიშნებზე, ვინაიდან ლოცვებში ისინი სწორად უნდა იქნეს დაცული. შემდეგ არამეცნიერულ დონეზე, პრაქტიკული მიზნებისთვის დახასიათებულია ბგერები და მათი გამოთქმის თავისებურებანი. აქვე განმარტებულია ის, რომ ვინაიდან „სიდური“ ლოცვების კრებულია, ის მხოლოდ ორიგინალის ენაზე, ებრაულად, უნდა იქნეს შესწავლილი და არა ქართული თარგმანით. თუ ვინმე ტექსტში გარკვევის მიზნით მოიკითხავს ლოცვას, ქართულ ენაზე უნდა იხილოს ამონარიდები ფსალმუნიდან, რომელიც თითქმის ყველა ლოცვას ახლავს და თარგმნილია ქართულადაც. მცირე გრამატიკული მიმოხილვის

ბოლოს წარმოდგენილია ებრაული ანბანი - თანხმოვნები სახელწოდებებით.

სანიშნულად წარმოვადგენ ერთ-ერთ ლოცვას:

תָּוִיחַ - დილის ლოცვა, რის შემდეგაც დართულია ლოცვის ებრაული ტექსტი ქართული ასოებით, რომელსაც ბოლოს ახლავს შენიშვნა ქართულად: „ნეტილის აღება (ხელის რიტუალური განბანვა) არ არის მხოლოდ ხელის დაბანა. ხელის დაბანისას ადამიანი ფიზიკურად სუფთავდება, ნეტილის აღებისას - სულიერად. ახალგაღვიძებული ადამიანი ხელს არაფერს მოკიდებს მანამ, სანამ ნეტილას არ აიღებს: არც რაიმე ნივთს, არც სხეულის რომელიმე ნაწილს, არც სამოსს...“. შემდეგ კი დეტალურად არის აღწერილი ნეტილას აღების მთელი რიტუალი.

წიგნი აგებულია შემდეგი პრინციპით: ლოცვის სათაური ებრაულად და შემდეგ ქართულად. მთელ წიგნში წარმოდგენილია ლოცვის ტექსტი ებრაულ ენაზე. ლოცვის ებრაული სიტყვები ჩაწერილია ქართული ასოებით. ზოგან ქართულად არის დართული შენიშვნა განმარტებით, თუ ამა თუ იმ ლოცვას რა ქმედება უნდა ახლდეს, ან როდის არის წასაკითხი – დილას თუ საღამოს, მარხულობის დროს(გვ.79), თვის დასაწყისში, უქმე დღეებში თუ შაბათს, ან დღესასწაულებზე სათაურით „ხანუქაზე ან ფურიმზე წასაკითხი“ (გვ. 82). ზოგჯერ მითითებულია წელიწადის დრო - ზაფხულში ან ზამთარში წასაკითხი და ა.შ.(გვ. 77). ზოგიერთ ლოცვას ახლავს მითითება: „ამას კითხულობენ ბეთ ჰა-ქენესეთში (სინაგოგაში) ლოცვისას...“ ან „ამას უმინიანოდ (10 კაცისგან შემდგარი ჯამათი) ლოცვისას არ კითხულობენ“ ან „ამას წაიკითხავენ ხუთშაბათობით“, „ზაფხულის შემოლოცვა ფესახის პირველ დღეს“ „მთვარის კურთხევა“ და ა. შ... მაგალითად, ხანუქის დღესასწაულის ლოცვას უძღვის შემდეგი განმარტება:

„ხანუქაზე ლოცულობენ ჩვეულებრივ, ოღონდ უმატებენ შესაბამის ნაწყვეტებს...რვა დღის განმავლობაში შეღამებისას ანთებენ სანთელს; პირველ ღამეს ერთს, მეორე ღამეს - ორს და ა.შ. უნდა შევნიშნოთ, რომ ყოველ ღამე დამატებით ინთება წინასწარ თითო სანთელი, ეგრეთწოდებული „შამში“ (გვ.355).

განმარტება ახლავს ფურიმის დღესასწაულის ლოცვასაც:

„ფურიმის ღამეს ლოცვის დაწყების წინ წაიკითხავენ 22-ე მიზმორს „თეჰილიმიდან“ (22-ე მუხლს ფსალმუნიდან)“(გვ.357), თუმცა, ლოცვების უმეტეს ნაწილს არანაირი განმარტება არ ახლავს, რაც ქართული ასოებით ჩაწერილი ებრაული ტექსტის გაგების სირთულეებს წარმოქმნის.

წიგნში აღწერილია სხვადასხვა მნიშვნელოვანი რიტუელი: ბერით მილა (ნათლობა, იგულისხმება წინდაცვეთის რიტუალი) (გვ.391), ქორწინების ცერემონიალი - „კიდუშინ“(გვ.394) და ა.შ.

წიგნის ბოლოს მოცემულია ისრაელის ისტორიის მნიშვნელოვანი თარიღები და აქა-იქ ჩართულია რეკლამები და განცხადებები, რაც ასეთი ტიპის გამოცემისთვის მოულოდნელ სიახლეს წარმოადგენს.

სიდურის ენობრივმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ განსაკუთრებით თვალშისაცემია ებრაიზმები, რომელიც ყოვლგვარი განმარტებისა და თარგმანის გარეშეა მიმოხვეული ქართულ ტექსტში: ნეტილა, მიზმორი , შახრიტი, ბირქა, ზემიროთი, მუსაფი, კიდუში, ყამიდა, მინხა, კიდუშინი, ბერით მილა და სხვა მრავალი. უთარგმნელი სიტყვების გარდა წიგნში ბევრი ნიუანსი ბუნდოვანია და განმარტებას საჭიროებს.

ლოცვების სრულყოფილი კრებულის შედგენის მიზნით, აბრაამ მამისთვალთვამ დამატებით იმუშავა და 2000 წელს გამოსცა ახალი წიგნი „ლოცვების დანართი ანუ დამატებანი“[მამისთვალთვი, 2000]. ამ წიგნში ძირითადად შეტანილია ის ლოცვები, რომლებიც წინამორბედ „სიდურში“ ნაწილობრივ ან საერთოდ არ არის

შეტანილი. ამ წიგნში ყურადღება გამახვილებულია იმ „მცირე“ ლოცვებზე, რომლებიც ჩვეულებრივ სიდურებში არ გვხვდება და ქართველი ებრაელები ადრითგანვე იცავდნენ მათი წაკითხვის ტრადიციას, მაგრამ ხშირად ვერ ახერხებდნენ მასალის უქონლობისა და ებრაული ენის უცოდინრობის გამო. დანართის შესავალში ვკითხულობთ:

„...არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სიდურში გადმოცემულ ყოველდღიური ლოცვის ტექსტებს, როგორცაა, მაგალითად, სიმხიარულისა და გლოვის ამსახველი მომენტები - ადამიანის დაბადება, სიყმაწვილის ჟამი, ოჯახის შექმნა და გარდაცვალება.“

„დამატებაში“ განხილულია მრავალი ახალი ლოცვა და ზოგიერთი რიტუალური საკითხი. მაგალითად, „იარცაიტის“ (გარდაცვალების წლისთავის) დადგენა; კრებულში შეტანილია „იარცაიტის“ დასადგენი კალენდარი; განხილულია სანთლის ანთების წესები; აბელობის (ჭირისუფლის) წესები; მიცვალებულის გაპატიოსნების რიტუალი; კადიშების (მიცვალებულის მოსახსენიებელი ლოცვები) წაკითხვის წესები; ვაჟის დაბადებისა და ბარ მიცვას რიტუალი ¹² და ა.შ.

ვლინდება ისეთი შემთხვევებიც, როცა გარკვეული ტრადიციები, რომელიც ქართველი ებრაელების მიერ საქართველოში ცხოვრების დროს დაცული იყო, ისრაელში აღარ სრულდებოდა. მაგალითად, წიგნის მე-17 გვერდზე ვკითხულობთ:

„საქართველოს ებრაელებს ტრადიციად ჰქონდათ: ვაჟი რომ დაიბადებოდა პირველივე შაბათის ყარბითის ლოცვის დროს მღეროდნენ: “იეჰი შალომ ბეხელენუ...“. ეს ტრადიცია აქ, ისრაელში, პირადად ძალიან იშვიათად ან სულაც არ შემინიშნავს, მით უმეტეს ადგილობრივებთან...“ - აღნიშნავს აბრაამ მამისთვალოვი.

დანართის ტექსტიც, ისევე როგორც სიდურის პირველი გამოცემა, უხვად შეიცავს ებრაიზმებს, უთარგმნელ სიტყვებსა და განუმარტებელ ტერმინებს, რის გამოც ტექსტის შინაარსის გაგება ებრაულ რელიგიურ ტერმინოლოგიაში და ადათ-წესებში გაუთვითცნობიერებულ პირს ძალზედ გაუჭირდება.

ამრიგად, აბრაამ მამისთვალოვის მრავალთემიან და მრავალმხრივ შემოქმედებაში განსაკუთრებულად წამყვანი და მნიშვნელოვანია რელიგიური ხაზი, რაც წარმოდგენილია როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური ნაწარმოებებით. მწერლის მიზანია, პრაქტიკულად გამოყენებადი წიგნებით დაეხმაროს ისრაელის ქართულენოვან თემის წარმომადგენლებს რელიგიური ცნობიერების შენარჩუნებასა და გამდიდრებაში, გაუადვილოს მათ საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული ადათ-წესებისა და რიტუალების შესრულება.

ლიტერატურა:

ბუცხრიკიძე, მ. (2024). „ქებათა-ქების“ იდეურ-სტრუქტურული რემინისცენციები „ვეფხისტყაოსანში“. მთარგმნელის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი VIII კონფერენციის მასალები. თამაზ ჩხენკელი-97. ივანე ჯავახიშვილი სახელობის ჰუმანიტარული ფაკულტეტი...დეკემბერი. თბილისი. 15-18.

გულედანი ლ. (2024). ებრაული სამართლის სეფარდული და აშქენაზური კოდექსი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო ჟურნალი „მოამბე“, N18; IV, (171-176).

¹² ტერმინი „*ბარ მიცვა*“ ნიშნავს მცნების შვილს. ტერმინი „*ბათ მიცვა*“ ნიშნავს მცნების ასულს. 13 წლის ასაკში ებრაელი ბიჭი ითვლება საკმარისად მომწიფებულად, რათა შეასრულოს მიცვას ვალდებულება (მცნებები), ხოლო ებრაელი გოგონა ითვლება მიცვას ვალდებულებების შემსრულებად. ბარ მიცვას ან ბათ მიცვას ცერემონია ზრდასრულობის აღიარებაა; როგორც ზრდასრული, ის იზიარებს ებრაული საზოგადოების სრულუფლებიანი წევრის პასუხისმგებლობებსა და პრივილეგიებს.

გულედანი ლ. (2025) ებრაული სამართლის კოდექსის (דברי חיים) ქართული ვერსია. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XXXIX. თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა.

მამისტვალოვი, ა. (1988). სიღური ქართული ასოებით. თელ-ავივი: „შუქურა“.

მამისტვალოვი, ა. (1994). ლექსთა ლექსი. თელ-ავივი: „შუქურა“.

მამისტვალოვი, ა. (2000). ლოცვების დანართი ანუ დამატებანი. თელ-ავივი: „შუქურა“.

მამისტვალოვი, ა. (2005): ხსოვნა, საქართველოს რესპუბლიკა. თბილისი, 25 ნოემბერი. N273 (5306). 8გვ.

ნავროზაშვილი, ე. (2021). აბრაამ მამისტვალოვის ერთი თარგმანის შესახებ. მთარგმნელის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი VII კონფერენციის მასალები. ივანე ჯავახიშვილი სახელობის ჰუმანიტარული ფაკულტეტი... სექტემბერი. თბილისი. 71-78.

ხუმში ქართულ ენაზე (თორის ხუთწიგნეული). (1988). წიგნი პირველი. ბერეშით. მთარგმნელები: აბრაამ მამისტვალოვი, გერშონ ბენ-ორენი (წიწუაშვილი), თამარ მამისტვალოვი-კეზერაშვილი. თელ - ავივი.

ხუმში ქართულ ენაზე (თორის ხუთწიგნეული). (1988). წიგნი მეორე. შმით. მთარგმნელები: აბრაამ მამისტვალოვი, გერშონ ბენ-ორენი (წიწუაშვილი), თამარ მამისტვალოვი-კეზერაშვილი. თელ-ავივი.

ხუმში ქართულ ენაზე (თორის ხუთწიგნეული). (1989). წიგნი მესამე. ვაიკრა. მთარგმნელები: აბრაამ მამისტვალოვი, გერშონ ბენ-ორენი (წიწუაშვილი), თამარ მამისტვალოვი-კეზერაშვილი. თელ-ავივი.

ხუმში ქართულ ენაზე (თორის ხუთწიგნეული). (1989). წიგნი მეოთხე. ბემიდბარ. მთარგმნელები: აბრაამ მამისტვალოვი, გერშონ ბენ-ორენი (წიწუაშვილი), თამარ მამისტვალოვი-კეზერაშვილი. თელ-ავივი: „შუქურა“.

ხუმში ქართულ ენაზე (თორის ხუთწიგნეული). (1989). წიგნი მეხუთე. დებარიმ. მთარგმნელები: აბრაამ მამისტვალოვი, გერშონ ბენ-ორენი (წიწუაშვილი), თამარ მამისტვალოვი-კეზერაშვილი. თელ-ავივი: „შუქურა“.

ინტერნეტ რესურსები:

1. <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00022829/>
2. <https://www.orthodoxy.ge/tserili/biblia/fsalmunni/fsalmunni-136.htm>

Georgian-Language Religious Literature Published in Israel - Abraham Mamistvalov

Lali Guledani
Ilia State University, Tbilisi

Abstract

Jews have lived in Georgia for many centuries. In the 1970s of the 20th century, they began a mass repatriation (“aliyah”) to their historical homeland—Israel. The initial years of this “aliyah” were characterized by severe economic and social problems for Georgian Jews. To settle in a new country, they had to overcome linguistic and everyday challenges. Despite these difficulties, Georgian Jews successfully engaged in literary activities. Works of various genres and themes were produced in the Georgian language, the acquisition and study of which are necessary for a complete presentation of Georgian-Jewish literary relations. Also interesting is the linguistic and literary study of Georgian-language publications produced in Israel, which can reveal similarities and differences, linguistic features, and innovations in literary expression methods that may be due to changes in residence and social environment.

In Georgian-language literature published in Israel, religious works are of particular importance. Jews, wherever they lived, considered religious faith and the observance of religious obligations to be a sacred duty that saved this nation from destruction. While living in Georgia, they resided in separate neighborhoods, built synagogues, prayed, and strictly observed the rules and traditions of the Torah. In Israel, Georgians continue their traditional

religious life, although they have more opportunities to enhance their religious awareness in the Promised Land alongside fellow Israelis. This was facilitated to some extent by Georgian-language religious works published in Israel, as most Georgian Jews knew only Georgian perfectly.

Various types of religious works were published in Israel, including books of the Bible, elementary issues of the Torah, prophetic passages, basic prayers in Hebrew, information about prominent rabbis and Talmid khakhamim in the Georgian Jewish community, translations of prayers and mitzvot, explanations of the attributes and theology of Judaism, discussions of Judaism in modern conditions, halakhic rules in Georgian (שלחן ערוך), and more.

Several books by the writer Abraham Mamistvalov have a religious nature, which are examined and characterized in this article, along with prayers, explanations, and notes. After analyzing the texts, it is noted that the religious aspect is particularly prominent and significant in the multi-thematic and multi-faceted work of Abraham Mamistvalov, represented by both translated and original works. The writer's goal is to assist representatives of the Georgian-speaking community in Israel in preserving and enriching their religious consciousness with practically applicable books and to facilitate the observance of customs and rituals established over centuries.

Keywords: *religious works, Bible, verse of verses, Siddur, additions to the laws.*